ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადანაგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადანაგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ზარალი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადანაგარიშება იმ გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადანაგარიშებულად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
1 აშშ დოლარი =	2.8677	2.6766
1 ევრო =	3.2095	3.0701

2.18 ამონაგების აღიარება

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანია ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაწევი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

2.19 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განხორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია ოურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განხორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.20 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.21 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

შპს "საქართველიკა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.22 შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაცია ასევე რეკლასიფიცირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამჟამინდელი წარდგენა უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც უტყუარია და უფრო შესაბამისი და გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის.

გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად შეტანილი კორექტირებების შეჯამება, ფინანსური მდგომარეობისა და სრული შემოსავლების ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია შემდეგ ცხრილებში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
შეზღუდული ფულადი სახსრები	3,401	(1,401)	2,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17,000	1,401	18,401
საერთო ზეგავლენა მიღიან აქტივებზე	20,401	-	20,401

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2018	წინა პერიოდის	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
ამონაგები	82,614	(888)	81,726
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	888	888
სხვა საოპერაციო ხარჯი	(18,563)	115	(18,448)
ფინანსური შემოსავალი	3,178	(2,286)	892
ფინანსური ხარჯი	(2,946)	1,991	(955)
კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	180	180
საერთო ზეგავლენა მიმდინარე წლის მოგებაზე	64,283	-	64,283

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონიერულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.2 საწარმოს უწყვეტობის პრინციპი

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4 საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა", რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარის უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანაზღაურების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფასს 16-ს გაგვინა არ მოუტანია მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, კომპანიას ჰქონდა მხოლოდ იჯარის ხარჯები, რომელიც 2020 წლის იანვრის ბოლოს დასრულდა.

შპს "საქაერონავიგაცია"

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) არსებობის განმარტება - შესწორებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში;
- ბ) ბიზნესის განმარტება - შესწორებები ფასს 3-ში;
- გ) შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში;
- დ) აქტივების რეალიზაცია ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში - შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში;
- ე) ფასიკ 23 მოვების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა.

კომპანია არ მოელის სტანდარტის ძალაში შესვლამ არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება 2019 წელს:

	მიწა და შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	მოწყობილობები და აპარატურა	დაუმთავრებელი მშენებლობა	საოფისე მოწყობილობები	ავტომობილები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2018	68,378	149,172	6,749	27,789	10,331	14,844	277,263
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(24,116)	(106,609)	(5,039)	(2,158)	(6,507)	(2,269)	(146,698)
<i>ცვეთა გაუფასურება</i>	(13,492) (10,624)	(94,672) (11,937)	(4,845) (194)	- (2,158)	(6,352) (155)	(2,219) (50)	(121,580) (25,118)
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	44,262	42,563	1,710	25,631	3,824	12,575	130,565
შეძენა	238	1,935	447	20,736	2,436	650	26,442
ისტორიული ღირებულების ტრანსფერი	168	36,718	544	(37,450)	20	-	-
ჩამოწერა	(10)	(112)	-	-	(57)	(301)	(480)
გასული ძს.-ის დაგროვილი ცვეთის განულება	7	99	-	-	53	80	239
ცვეთის თანხა	(2,259)	(7,935)	(379)	-	(1,108)	(623)	(12,304)
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	42,406	73,268	2,322	8,917	5,168	12,381	144,462
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	68,774	187,713	7,740	11,075	12,730	15,193	303,225
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(26,368)	(114,445)	(5,418)	(2,158)	(7,562)	(2,812)	(158,763)
<i>ცვეთა გაუფასურება</i>	(15,744) (10,624)	(102,508) (11,937)	(5,224) (194)	- (2,158)	(7,407) (155)	(2,762) (50)	(133,645) (25,118)
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	42,406	73,268	2,322	8,917	5,168	12,381	144,462

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება 2018 წელს:

	მიწა და შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	მოწყობილობები და აპარატურა	დაუმთავრებელი მშენებლობა	საოფისე მოწყობილობები	ავტომობილები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	65,628	130,274	6,739	35,076	8,271	7,625	253,613
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(22,085)	(99,029)	(4,489)	(2,158)	(6,173)	(1,881)	(135,815)
<i>ცვეთა გაუფასურება</i>	(11,458) (10,627)	(87,062) (11,967)	(4,295) (194)	- (2,158)	(6,016) (157)	(1,831) (50)	(110,662) (25,153)
საბალანსო ღირებულება 31.12.2017	43,543	31,245	2,250	32,918	2,098	5,744	117,798
შეძენა	274	596	-	15,595	2,026	7,219	25,710
ისტორიული ღირებულების ტრანსფერი	2,737	19,213	11	(22,594)	633	-	-
გასული ძს.-ის დაგროვილი ცვეთის განულება	104	873	-	-	594	-	1,571
ჩამოწერილი ძს.-ის გაუფასურების განულება	(261)	(911)	(1)	(288)	(599)	-	(2,060)
ჩამოწერილი ძს.-ის გაუფასურების განულება	3	30	-	-	2	-	35
ცვეთის თანხა	(2,138)	(8,483)	(550)	-	(930)	(388)	(12,489)
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	44,262	42,563	1,710	25,631	3,824	12,575	130,565

შპს "საქაერონავიგაცია"

ფინანსური ანგარიშების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ისტორიული ღირებულება 31.12.2018	68,378	149,172	6,749	27,789	10,331	14,844	277,263
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	(24,116)	(106,609)	(5,039)	(2,158)	(6,507)	(2,269)	(146,698)
ცვეთა	(13,492)	(94,672)	(4,845)	-	(6,352)	(2,219)	(121,580)
გაუფასურება	(10,624)	(11,937)	(194)	(2,158)	(155)	(50)	(25,118)
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	44,262	42,563	1,710	25,631	3,824	12,575	130,565

2019 წლის ძირითადი მატება მოიცავს დაუმთავრებელ მშენებლობას 20,736 ათასი ლარით, (2018: 15,595 ათასი ლარი). მშენებლობა მოიცავს სანავიგაციო აღჭურვილობას და დანადგარებს. დამთავრების შემდგომ, აქტივი ძირითადი საშუალებების შესაბამის კლასში გადადის.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაუფასურებული ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება 87,061 ლარია (2018: 77,703 ლარი).

7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების ცვლილება 2019 წელს:

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2018	1,752	3,295	5,047
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(868)	(1,943)	(2,811)
ამორტიზაცია	(866)	(1,650)	(2,516)
გაუფასურება	(2)	(293)	(295)
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	884	1,352	2,236
შეძენა	1,649	200	1,849
ამორტიზაციის თანხა	(394)	(343)	(737)
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	2,139	1,209	3,348
ისტორიული 31.12.2019	3,401	3,495	6,896
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(1,262)	(2,286)	(3,548)
ამორტიზაცია	(1,260)	(1,993)	(3,253)
გაუფასურება	(2)	(293)	(295)
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	2,139	1,209	3,348

არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების ცვლილება 2018 წელს:

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	1,752	1,959	3,711
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(529)	(1,728)	(2,257)
ამორტიზაცია	(527)	(1,435)	(1,962)
გაუფასურება	(2)	(293)	(295)
საბალანსო ღირებულება 31.12.2017	1,223	231	1,454
შეძენა	-	1,336	1,336
ამორტიზაციის თანხა	(339)	(215)	(554)
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	884	1,352	2,236
ისტორიული 31.12.2018	1,752	3,295	5,047
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	(868)	(1,943)	(2,811)
ამორტიზაცია	(866)	(1,650)	(2,516)
გაუფასურება	(2)	(293)	(295)
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	884	1,352	2,236

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაუფასურებული არამატერიალური აქტივების ისტორიული ღირებულება 1,795 ათასი ლარია (2018: 1,783 ათასი ლარი).

შპს "საქაერონავიგაცია"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8 ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის

ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	31-დეკ-19	31-დეკ-18
გრძელვადიანი ავანსები ძირითადი საშუალებებისთვის	520	1,865
სულ ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	520	1,865

გრძელვადიანი ავანსების გაუფასურება დაკავშირებულია 12 თვეზე მეტი ხნის წინ გადახდილ ავანსებთან, რომელთა შედეგად არაფერია მიღებული ან არ არის მოსალოდნელი რომ კომპანია მიიღებს რაიმეს.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილ გრძელვადიან ავანსებზე დაგროვებული გაუფასურების რეზერვი 0 ლარია.

9 შეზღუდული ფულადი სახსრები

2015 წელს კომპანიამ დაარსა **არასახელმწიფო საპენსიო სქემა** შპს „საქაერონავიგაციის“ თანამშრომლების არასახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფის მიზნით. კომპანიის სქემა არის დადგენილშენატანინი და განსაზღვრულია საბაზისო შრომის ანაზღაურების 18 და 7 პროცენტით, შესაბამისად კომპანიისა და თანამშრომლებისათვის.

მოქმედი კანონმდებლობით, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს მოეთხოვება საპენსიო ფონდის შევსებული კაპიტალის შექმნა და შენახვა (სქემის არსებობის განმავლობაში) სულ მცირე 2 მილიონი ლარის ოდენობით. კომპანიამ ფონდის კაპიტალად განსაზღვრა 3 მილიონი ლარი, რომელიც განათავსა ბანკში განცალკევებულ ანგარიშზე. 2 მილიონი ლარის ოდენობის (მინიმალური კაპიტალი) საგარანტიო აქტივი წარდგენილია როგორც გრძელვადიანი, შეზღუდული ფული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ხოლო, მინიმალურ კაპიტალზე (2 მილიონი ლარი) მეტი ფული, რომლის განკარგვაც კომპანიას შეუძლია თუკი ის ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს, წარმოდგენილია როგორც ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

საპენსიო სქემაში შენატანების განხორციელება დაიწყო 2017 წელს. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის შენატანებმა შეადგინა 2,497 ლარი (2018: 2,102). 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის შენატანის დარიცხული ვალდებულებაა 223 ლარი (2018: 185).

საპენსიო დანაგროვის გაცემა სქემაში ჩართულ თანამშრომლებზე ხდება შემდეგ შემთხვევებში: (1) თანამშრომელმა მიაღწია საპენსიო ასაკს და მისი მოთხოვის საფუძველზე გაიცემა პენსია; (2) მონაწილე დატოვებს შპს "საქაერონავიგაციას" საპენსიო ასაკის მიღწევამდე, მის სახელობით საპენსიო ანგარიშზე დაგროვილ საპენსიო დანაზოგს მიიღებს შეუმცირებლად; (3) მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში დანაგროვი პენსია ეძლევა მის მემკვიდრეებს იმავე პირობებით, რა პირობებითაც მიიღებდა მონაწილე. 2019 წლის განმავლობაში მონაწილეებზე გაცემულია 158 ლარის ოდენობით საპენსიო დანაგროვი (2018 წელი: 63 ლარი).

კერძო საპენსიო სქემის ფინანსური მიმოხილვა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	31-დეკ-18	საპრო ცენტო შემოსავალი	სოციალური მონაწილე ობა	საივესტი ციო მოგება	ტრანზაქ ციის ხარჯი	გადატანა	პენსიის გადახდა	31-დეკ-19
საპენსიო ფონდის აქტივები								
საბანკო ანგარიში	3,401	265	-	-	-	(400)	-	3,266
სარგებლისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივები	5,571	-	3,520	737	(66)	-	(158)	9,604
ფასიანი ქაღალდები, უზრუნველყოფა	113	-	432	23	-	144	-	712
ფული და მოკლევადიანი დებოზიტები	539	-	2	361	(84)	423	(158)	1,083
გრძელვადიანი დებოზიტები	4,680	-	3,033	353	-	(567)	-	7,499
მოთხოვნები	256	-	53	-	-	-	-	309
ვალდებულებები	(17)	-	-	-	18	-	-	1
სულ აქტივები	8,972	265	3,520	737	(66)	(400)	(158)	12,870
წმინდა ღირებულება								
საპენსიო ფონდი	3,014	-	-	-	-	(13)	-	3,001
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	387	265	-	-	-	(387)	-	265
სულ წმინდა ღირებულება	3,401	265	-	-	-	(400)	-	3,266
ვალდებულებები								
ტექნიკური რეზერვები	5,571	-	3,520	737	(66)	-	(158)	9,604
სულ ვალდებულებები	5,571	-	3,520	737	(66)	-	(158)	9,604
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	8,972	265	3,520	737	(66)	(400)	(158)	12,870

შპს "საქართველო-გაზი"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9 შეზღუდული ფულადი სახსრები (გაგრძელება)

კერძო საპენსიო სქემის მიმოხილვა 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით:

	31-დეკ-17	საპრო ცენტო შემოსავალი	სოციალური მონაწილე ობა	საივესტი ციო მოგება	ტრანზაქ ციის ხარჯი	გადატანა	პენსიის გადახდა	31-დეკ-18
საპენსიო ფონდის აქტივები								
საბანკო ანგარიში	3,492	359	-	-	-	(450)	-	3,401
სარგებლისთვის განკუთვნილი წმინდა აქტივები	2,328	-	2,948	384	(26)	-	(63)	5,571
ფასიანი ქაღალდები, უზრუნველყოფა ფული და მოკლევადიანი დეპოზიტები	113	-	-	12	-	(12)	-	113
გრძელვადიანი დეპოზიტები	498	-	220	232	(10)	(338)	(63)	539
მოთხოვნები	1,490	-	2,700	140	-	350	-	4,680
ვალდებულებები	228	-	28	-	-	-	-	256
სულ აქტივები	(1)	-	-	-	(16)	-	-	(17)
წმინდა ღირებულება	5,820	359	2,948	384	(26)	(450)	(63)	8,972
საპენსიო ფონდი	3,014	-	-	-	-	-	-	3,014
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	478	359	-	-	-	(450)	-	387
სულ წმინდა ღირებულება	3,492	359	-	-	-	(450)	-	3,401
ვალდებულებები								
ტექნიკური რეზერვები	2,328	-	2,948	384	(26)	-	(63)	5,571
სულ ვალდებულებები	2,328	-	2,948	384	(26)	-	(63)	5,571
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	5,820	359	2,948	384	(26)	(450)	(63)	8,972

10 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		
სათადარიგო ნაწილები	4,441	3,416
სხვა მარაგები	131	159
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,572	3,575

სხვა საოპერაციო ხარჯად აღიარებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება 2019 წლისთვის არის 1,135 ათასი ლარი (2018: 1,835 ათასი ლარი).

11 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	19,831	19,070
გაუფასურების რეზერვი	(6,542)	(6,081)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	13,289	12,989
გაცემული ავანსები	503	705
ავანსების გაუფასურების რეზერვი	-	(391)
წმინდა გაცემული ავანსები	503	314
სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანება	20	783
გაუფასურების რეზერვი	-	(773)
წმინდა სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანება	20	10
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	13,812	13,313

წმინდა სავაჭრო დებიტორული დავალიანება 8,942 ათასი ლარის (2018: GEL 9,706) ოდენობით დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, სრულად 100% ევროში (2018: 100%).

	2019	2018
გაუფასურების რეზერვის (ზრდა) / შემცირება		
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	7,245	7,129
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	440	118
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	(1,143)	(2)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,542	7,245

12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-19	31-დეკ-18
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე ეროვნულ ვალუტაში	4,309	3,996
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე უცხოურ ვალუტაში (ევრო)	1,490	8,181
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი)	805	6,224
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,604	18,401

შპს "საქართველიკა"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს კომპანიის არასახელმწიფო საპენსიო სქემის ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს 1,001 ათასი ლარის ოდენობით (2018 წელი: 1,014 ათასი ლარი).

13 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას, რომელიც ასახულია სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში. კომპანიის წესდების მიხედვით საწესდებო კაპიტალის შესაკუთრებები უფლებამოსილი არიან მიიღონ დივიდენდი, რომელსაც დროდადრო გასცემენ, ამასთან მათ ხმის უფლება აქვთ კომპანიის აქციონერთა საბჭოს შეხვედრაზე მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის აქციების წილის შესაბამისად. კომპანიის განაწილებადი რეზერვი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთის ოდენობით, რომელიც ასახულია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

14 ნასესხები საშუალებები

ნასესხები საშუალებები	31-დეკ-19	31-დეკ-18
ვადიანი სესხები - გრძელვადიანი (ევრო)	5,183	5,398
ვადიანი სესხები - მომდინარე ნაწილი (ევრო)	456	382
სულ ნასესხები საშუალებები	5,639	5,780

კომპანია არ იყენებს ჰვეირების აღრიცხვას და არ გაუფორმებია არც ერთი ჰვეირების შეთანხმება უცხოურ ვალუტაში ვალდებულების ან საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში. დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების და ნაშთების განმარტებისთვის იხილეთ 24-ე შენიშვნა.

31-დეკ-19	გრანტის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ეფექტური წლიური საპროცენტო	დასაფარი თანხა ევროში	დასაფარი თანხა ლარში
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული:					
1-ლი ტრანში	19-თებ-09	31-მარ-27	24.00%	246	790
მე-2 ტრანში	23-მაი-09	30-ივნ-27	16.76%	1,219	3,912
მე-3 ტრანში	29-სექ-09	30-სექ-27	9.54%	292	937
სულ ნასესხები საშუალებები				1,757	5,639

31-დეკ-18	გრანტის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ეფექტური წლიური საპროცენტო	დასაფარი თანხა ევროში	დასაფარი თანხა ლარში
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული:					
1-ლი ტრანში	19-თებ-09	31-მარ-27	24.00%	259	795
მე-2 ტრანში	23-მაი-09	30-ივნ-27	16.76%	1,306	4,010
მე-3 ტრანში	29-სექ-09	30-სექ-27	9.54%	318	975
სულ ნასესხები საშუალებები				1,883	5,780

2009 წელს ვადიანი სესხი საკონტრაქტო თანხით 4,690 ათასი ევრო, საქართველოს სახელმწიფომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით სამ ტრანშად მისცა კომპანიას 2009 წლის 30 იანვარს დადებული გადასესხების ხელშეკრულების საფუძველზე. სესხი დაიხარჯა თბილისის აეროპორტში სარადარო სისტემის შექმნისათვის. სარადარო სისტემის მშენებლობა და ტესტირება დასრულდა და აქტივი 2009 წლის ნოემბრიდან გამოიყენება. სესხის დაფარვის ვადა 18 წელი, საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთია 1.1%. ძირითადი თანხის გადახდის საშუალებით პერიოდია 78 თვე, ხოლო აღიარების თარიღით შეფასებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გახლდათ 15.87%. შეფასება ეფუძნება საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ევრობონდების, რომელიც დოლარებშია დენომინირებული და ევროპულ საფონდო ბირჟაზე იყიდება, უკუგების შიდა განაკვეთს.

წარდგენილ სასესხო ვალდებულებებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფინანსურ ფულად ნაკადებს შორის ურთიერთკავშირი შემდეგია:

	2019	2018
ნაშთი 1 იანვარს	5,780	6,191
საპროცენტო ხარჯი	947	955
სესხის ძირისა და პროცენტის დაფარვა	(1,349)	(1,280)
გაცვლითი კურსის გავლენა ნაშთებზე	261	(86)
ნაშთი 31 დეკემბრის	5,639	5,780

15 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31-დეკ-19	31-დეკ-18
გადასახდელი ხელფასები	4,022	3,340
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2,111	1,544
გადასახდელი გადასახადები	610	1,124
სხვა კრედიტორული დავალიანება	6	4
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6,749	6,012

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება 572 ათასი ლარის (2018: 252 ათასი) ოდენობით დენომინირებულია ევროში, 349 ათასი ლარის ოდენობით აშშ დოლარში (2018: 326 ათასი) და 56 ათასი ლარის ოდენობით სხვა ვალუტაში (2018: 54 ათასი).

შპს "საქაერონავიგაცია"

ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16 ამონაგები

ამონაგები	2019	2018
შემოსავალი ტრანზიტულ რეისებზე საჰაერო ნავიგაციის მომსახურების გაწევიდან	45,366	51,283
შემოსავალი დაშვების/აფრენის მომსახურებიდან	28,500	30,069
სხვა შემოსავალი	329	374
სულ ამონაგები	74,195	81,726

17 სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი	2019	2018
შემოსავალი სადაზღვევო ზარალის ანაზღაურებიდან	1,612	-
შემოსავალი ჯარიმებიდან	95	866
სხვა შემოსავალი	53	22
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,760	888

18 პერსონალის ანაზღაურება

პერსონალის ანაზღაურება	2019	2018
შრომის ანაზღაურება	27,282	24,299
პრემია	3,610	2,871
დანამატი წელთა ნამსახურებაზე	3,331	2,591
არასახელმწიფო საპენსიო ფონდი (კომპანიის წილი 18%)	3,207	2,646
თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა	1,603	1,132
სახელმწიფო საპენსიო ფონდი	501	-
სხვა სარგებელი	363	406
სულ პერსონალის ანაზღაურება	39,897	33,945

კონპანის შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე, თანამშრომლებს ავიაციის სფეროში წელთა ნამსახურების / გამოცდილების მიხედვით ყოველთვიურად ერიცხებათ დანამატი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხელფასზე. 3-დან 5 წლამდე ნამსახურების მქონდე თანამშრომელს 5%-იანი სარგებელი, 5-დან 10 წლამდე 10%-იანი, 10-დან 15 წლამდე 15%-იანი, ხოლო 15 წლიდან ზემოთ 20%-იანი სარგებელი.

არასახელმწიფო საპენსიო ფონდზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-9 შენიშვნა.

19 სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი	2019	2018
რემონტის და უზრუნველყოფის ხარჯები	3,605	2,989
ევროკონტროლის საწევრო გადასახადი	2,594	2,429
სამსახურებრივი მივლინებები	2,465	2,063
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	1,739	1,648
ტექნიკური პერსონალის ტრენინგი	1,577	1,001
დაზღვევის ხარჯი	1,504	1,309
კომუნალური ხარჯები	940	915
სატესტო ფრენები	929	833
რეგულირების ხარჯი	725	472
მასალების ღირებულება	689	1,617
კომუნიკაციის ხარჯები	677	628
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი (შენიშვნა 11)	440	118
ტრანსპორტირების ხარჯები	329	316
ევროკონტროლის ადმინისტრაციული გადასახადი	289	304
წარმომადგენლობითი ხარჯი	140	470
იჯარის ხარჯი	102	24
მომსახურების ხარჯი	79	137
ბანკის მომსახურების ხარჯი	70	138
რეკლამის ხარჯი	15	25
სხვა ხარჯები	1,113	1,012
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	20,021	18,448

20 ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	372	533
საპროცენტო შემოსავალი (საპენსიო ფონდი)	265	359
სულ ფინანსური შემოსავალი	637	892

21 ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი მოიცავს გრძელვადიან სესხზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს 947 ათასი ლარის ოდენობით (2018: 955 ათასი ლარი).

შპს "საქართველიკა"

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

22.1 სამართლებრივი პროცედურები

პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

22.2 საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისა და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

22.3 გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადამსწვავა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

23 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს, მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს, საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

23.1 საკრედიტო რისკი

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მოსაზრებების კრედიტით მიყვანისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები. კომპანია მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი ზარალი ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ფლობიდან უმნიშვნელოა. შესაბამისად, საკრედიტო რისკის შეფასება ფაქტობრივად ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნებზე.

კომპანიამ გამოიყენა ფასს-9-ის გამარტივებული მიდგომა სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად. კომპანიაში მანამდე არსებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის კალკულაციის მეთოდი იწვევს უფრო დიდი ანარიცხის აღიარებას, ვიდრე ეს ფასს 9-ის მიხედვით გაანგარიშებული საკრედიტო ზარალია. ვინაიდან აღნიშნული სხვაობები არ არის არსებითი, შესაბამისად კომპანიას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ მოუხდენია წარდგენილი პერიოდების საკრედიტო ზარალის შექცევა:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0.4%	0.3%
ძველი საანგარიშგებო პერიოდებიდან წარმოშობილი სრული გაუფასურება*	(6,168)	(6,679)
ზარალის შეფასებისადმი დაქვემდებარებული ამონაგები	74,195	81,726
ზარალის შეფასებისადმი დაქვემდებარებული სავაჭრო მოთხოვნები	13,663	12,391
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთით გამოთვლილი გაუფასურების რეზერვი	(351)	(282)
ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(6,542)	(6,854)
ფასს 9-ს გაეკლენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვზე	23	(107)

*კომპანია არ ახორციელებს უიმედო ვალების ბალანსიდან ჩამოწერას რიგი ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ფაქტორების გათვალისწინების გამო.

23.2 საბაზრო რისკი

კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, და გ) საწესდებო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

შპს "საქართველოგაზი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

23 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

23.2 საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ საბაზრო რისკებისადმი მგრძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31 დეკემბერი, 2019			31 დეკემბერი, 2018		
	ფულადი ფინანს. აქტივები	ფულადი ფინანს. ვალდებ.	ნეტო საბალანს. პოზიცია	ფულადი ფინანს. აქტივები	ფულადი ფინანს. ვალდებ.	ნეტო საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	8,676	1,140	7,536	7,289	916	6,373
აშშ დოლარი	805	349	456	6,224	326	5,898
ევრო	10,432	6,211	4,221	17,887	6,032	11,855
სხვა	-	56	(56)	-	54	(54)
სულ	19,913	7,756		31,400	7,328	

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონიერულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი, 2019		31 დეკემბერი, 2018	
	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა საკუთარ კაპიტალზე	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	46	39	590	501
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	(46)	(39)	(590)	(501)
ევროს გამყარება 10%-ით	422	359	1,186	1,008
ევროს დასუსტება 10%-ით	(422)	(359)	(1,186)	(1,008)
სხვა ვალუტის გამყარება 10%-ით	(6)	(5)	(5)	(5)
სხვა ვალუტის დასუსტება 10%-ით	6	5	5	5

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გაგრძელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტული აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დებოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართაოდ, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი სჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც ოურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დოფარების ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

შპს "საქართველენია"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

23 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

23.2 საბაზრო რისკი (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კურსის მიხედვით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

ვალდებულებები	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტე	სულ
ნასესხები საშუალებები	678	678	5,283	3,269	9,908
სავაჭრო კრედიტორები	2,117	-	-	-	2,117
სულ	2,795	678	5,283	3,269	12,025

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

ვალდებულებები	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტე	სულ
ნასესხები საშუალებები	655	655	5,106	4,371	10,787
სავაჭრო კრედიტორები	1,548	-	-	-	1,548
სულ	2,203	655	5,106	4,371	12,335

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	31-დეკ-19	31-დეკ-18
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
-სავაჭრო დებიტორული დავალიანება	13,309	12,999
-საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	8,604	20,401
-სხვა ფინანსური მოთხოვნები	503	314
სულ ფინანსური აქტივები	22,416	33,714
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
-სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	6,749	6,012
-ნასესხები საშუალებები	5,639	5,780
სულ ფინანსური ვალდებულებები	12,388	11,792

24 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებზე მიიწვევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის უშუალო და საბოლოო მკონტროლებელი მხარე გახლდათ საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროთი. კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში საპაერო სანაღვიგაციო მომსახურებას უწევს გარკვეულ მხარეებს, რომელთათვისაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო კომპანიას უხდის მომსახურების საფასურს.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები	2019	2018
საქართველოს მთავრობა		
- საპროცენტო ხარჯი	947	950
- შეღავათიანი ფრენების მომსახურების საფასური	835	747
ძირითადი ხელმძღვანელი პირები		
- მოკლევადიანი სარგებელი	1,317	626
- კომპანიის შენატანები საპენსიო ფონდში	120	83
- სხვა ხარჯები	271	40
ნაშთები	31-დეკ-19	31-დეკ-18
საქართველოს მთავრობა		
- მიღებული სესხები	5,639	5,780

შპს "საქაერონავიგაცია"

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID-19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა. მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. 2020 წლის 21 მარტიდან შეწყდა რეგულარული ფრენები. მენეჯმენტის შეფასებით, COVID-19-ს და მასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა, ვინაიდან შპს "საქაერონავიგაცია" არის ერთადერთი საწარმო, რომელიც ეწევა საავიაციო მომსახურებას საქართველოში, მენეჯმენტის შეფასებით, ეს გარემოებები არ მოახდენს გავლენას კომპანიის შესაძლებლობაზე, უწყვეტად განაგრძოს ფუნქციონირებადობა მომავალში.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

26 წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საზღაური

წინამდებარე წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საზღაური შეადგენს 53 ათას ლარს.
